თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7854838

ნომერი: AR11133190

თარიღი : 12.03.2026

გაცემის თარიღი : 24.03.2026

გაცნობის თარიღი : 24.03.2026

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, უნივერსიტეტის ქუჩა, N 46, კორპუსი N6; კორპუსი N16;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვერიკო ბაბუციძე პ/ნ 59004005792
- გორი ს. აჩაბეთი

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 11 მარტის №7839187 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2026 წლის 12 მარტს №AR11133190 განცხადებით მომართა ვერიკო ბაბუციძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2026 წლის 11 მარტის

№7839187 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 11 მარტის №7839187 ბრძანებით №01.14.06.006.179 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (B16), კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.

განმცხადებლის განმარტებით სამსახურის 2026 წლის 11 მარტის №7839187 ბრძანებაში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, გამორჩენილია ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებისგან დამოუკიდებლად, ცალკე ფართობად ღია ავტოსადგომების ფართობის 353.1 კვ.მ-ის დაფიქსირება. ამასთან, განმცხადებელი განმარტავს, რომ აღნიშნული ღია ავტოსადგომებიდან 9 ავტოსადგომი (137.9 კვ.მ) მდებარეობს №01.14.06.006.179 საკადასტრო ერთეულზე, ხოლო, 15 ავტოსადგომი (215.2 კვ.მ) - №01.14.06.006.169 საკადასტრო ერთეულზე.

დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დაადგინდა, რომ სამსახურის 2026 წლის 11 მარტის №7839187 ბრძანებით შეთანხმებული ავტოსადგომების გადანაწილების სქემის მიხედვით, B16 სახლისთვის გათვალისწინებულია 24 ღია ავტოსადგომი, რომლიდანაც 9 ავტოსადგომი (137.9 კვ.მ) მდებარეობს №01.14.06.006.179 საკადასტრო ერთეულზე, ხოლო 15 ავტოსადგომი (215.2 კვ.მ) №01.14.06.006.169 საკადასტრო ერთეულზე.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 11 მარტის №7839187 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1.გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 11 მარტის №7839187 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებისგან დამოუკიდებლად, ცალკე ფართობად დაფიქსირდეს B16 სახლისთვის განკუთვნილი 24 ღია ავტოსადგომი (საერთო ფართობით 353.1 კვ.მ), რომლიდანაც 9 ავტოსადგომი (137.9 კვ.მ) მდებარეობს №01.14.06.006.179 საკადასტრო ერთეულზე, ხოლო 15 ავტოსადგომი (215.2 კვ.მ) №01.14.06.006.169 საკადასტრო ერთეულზე.

2.ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 11 მარტის №7839187 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.

3.წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 11 მარტის №7839187 ბრძანებასთან ერთად.

4.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.